ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №7451024

ნომერი: AR11083839

თარიღი : 25.03.2025

გაცემის თარიღი : 16.04.2025

გაცნობის თარიღი : 16.04.2025

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი N150;

დამკვეთი-განმცხადებელი
- გიგა სანაია პ/ნ 01018003506
- თბილისი ი.ქუთათელაძის 6 ბინა 4

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2025 წლის 25 მარტს №AR11083839 განცხადებით მომართა გიგა სანაია და მოითხოვა სამსახურის 2021 წლის 27 დეკემბრის №5722519 ბრძანებაში ცვლილების შეტანა.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად,

შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2021 წლის 27 დეკემბრის №5722519 ბრძანებით №01.17.11.027.073 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა მრავალფუნქციური კომპლექსის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი.
განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2021 წლის 27 დეკემბრის №5722519 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში ცვლილების შეტანას და თითოეული საპროექტო შენობა-ნაგებობისთვის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების ცალ-ცალკე ჩამოყალიბებას.
დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის 2024 წლის 14 აგვისტოს №ბ17.01242274 ბრძანებით სანებართვო პირობების დარღვევით ნაწარმოები მშენებლობადამთავრებული ობიექტი (მრავალფუნქციური კომპლექსი (საცხოვრებელი, საოფისე, კომერციული)), შენობა №1 მიღებულ იქნა ექსპლუატაციაში, ხოლო ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მუნიციპალურ ინსპექციაში წარდგენილ იქნა ფაქტობრივი მდგომარეობის შესაბამისი ნახაზები, რომლებიც სამსახურთან შეთანხმებული არ ყოფილა.
ამასთან, სამსახურმა დაადგინა, რომ ამჟამად წარმოდგენილი შენობა №2-ის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებიდან ამოღებულია ავტოსადგომის მაჩვენებელი, ხოლო სამსახურის 2021 წლის 27 დეკემბრის №5722519 ბრძანებით შეთანხმებულ არქიტექტურულ პროექტში, შენობა №2-ში გათვალისწინებულია ავტოსადგომები.
სამსახური განმარტავს, რომ განმცხადებლის მოთხოვნა საჭიროებს 2021 წლის 27 დეკემბრის №5722519 ბრძანებით შეთანხმებულ საპროექტო დოკუმენტაციაში ცვლილებას და შესაბამისი მშენებლობის ნებართვის მიღებას.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური მოკლებული შესაძლებლობას შეიტანოს ცვლილება სამსახურის 2021 წლის 27 დეკემბრის №5722519 ბრძანებაში.
წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.